შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

2024 წლის ანგარიში

2024

წარმოდგენილ იქნა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის წლიური ანგარიში. საჭიროა ყველაფრის შეჯამება:

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, და განთავისუფლება. პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა სტრუქტურის რამოდენიმე წარმომადგენელი, მათი ჩანაცვლება მოხდა გამოცხადებული ვაკანსიის საფუძველზე.

მოწესრიგდა პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

მთელი წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი განიხილავდა პერსონალის და პროფესიული მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს რის საფუძველზეც ჩატარდა რამოდენიმე ტრენინგი, აგრთვე პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების ჩართვა განათლების ხარისხის მართვის ცენტრისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი მიერ მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა კოლეჯისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას, შერჩევას. აქტიურად წარმოებდა დამწყები, პერსპექტიული კადრების მოზიდვა, მათი შემდგომი პროფესიული განვითარების დაგეგმვის პარალელურად.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდა 2024 წლის ნოემბერში, ანონიმურად, ელექტრონული ფორმატით. კითხვარი გადაგზავნილი იყო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ელექტრონულ ფოსტაზე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13 რესპოდენტმა. გამოკითხვის ანალიზი ერთვის ანგარიშს დანართი 1-ის სახით. ასევე ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ შეფასდა 14 სტრუქტურული ერთეული, წინასწარ შემუშავებული ფორმით, რომლის შედეგებიც მოცემულია დანართ 2-ში.

ბიბლიოთეკარის ანგარიშის მიხედვით 2024 წელს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; გარდა ამისა, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა მომსახურება;
2024 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას მიმართა 53 პროფესიულმა სტუდენტმა და 16 პროფესიულმა მასწავლებელმა. ასევე, ახალი სასწავლო წლის დაწყებისას გადამოწმდა წიგნადი ფონდი იყო თუ არა შესაბამისობაში მოდულებთან. საჭირო გახდა რამოდენიმე ახალი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოძიება. ყველა ამ პროცესთან ერთად ბიბლიოთეკაში კონტროლდება და დაცულია დოკუმენტაციის შენახვისათვის საჭირო პირობები.
ბიბლიოთეკა აქტიურად არის ჩართული კოლეჯში მიმდინარე ღონისძიებებსა და პრეზენტაციებში - დავიწყეთ მუშაობა წიგნადი ფონდის გაციფრულების, რომელიც აიტვირთება კოლეჯის ვებ გვერდზე.
2024 წელს ბიბლიოთეკაში მოეწყო ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია კითხვის და წიგნის დღესთან.

ექიმის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით კომპეტენიის ფარგლებში მან პირველადი სამედიცინო მომსახურება გაუწია კოლეჯის ადმინისტრაციას და პროფესიული განათლების სტუდენტებებს. საჭირო არ გამხდარა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახებას, კოლეჯს არ ჰყოლია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მოწმდებოდა სასწავლო ფართში სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

იურისტი მთელი წლის განმავლობაში კოლეჯის ფუნქციონირებისთვის აწარმოებდა საჭირო სათანადო სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების შედგენა/შეთანხმება/დამტკიცებისათვის მომზადებას; სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციის საფუძველზე კოლეჯის სამართლებრივ რეგულაციებში ისახებოდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები.

კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი. მისი აღნიშვნით, ხშირი იყო კომპიუტერების დაზიანება, მაგრამ სწრაფადვე მიმდინარეობდა ხარვეზების აღმოფხვრა. ასევე, მთელი წლის განმავლობაში კოლეჯის ვებ გვერდზე ხდებოდა ინფორმაციის განახლება, აგრეთვე კოლეჯის სოციალური ქსელების ტექნიკური ადმინისტრირება და მონიტორინგი; საჭიროების შემთხვევაში წარმოებდა კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი.

შეხვედრებისა და ღონისძიებების დროს უზრუნველყოფილი იყო კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის პრეზენტაციებისათვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში დახმარება. გარდა ამისა, ახალი სასწავლო შენობის დამატებისას დაემატა კომპიუტერული კლასები, რომელიც აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით.

მთელი წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში. რეიტინგული სიების გამოცხადების შემდგომ ჩატარდა აპლიკანტებთან შეხვედრა სადაც მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯის ვებ გვერდისა და მასში განთავსებული ინფორმაციის შესახებ, სადაც აპლიკანტებს დაევალათ გაცნობოდნენ კოლეჯში მოქმედ შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსა და სხვა დოკუმენტაციას. ასევე, 2024 წლის მიღების სტუდენტებს კოლეჯი შეხვდა დიდი ღონისძიებით, რომელიც ჩატარდა ახალი ფართის ფოიეში. სწავლის დაწყებისთანავე მათ მიეწოდათ ინფორმაცია მათი უფლებების/ვალდებულებებისა და კოლეჯში არსებული პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/დახმარების შესაძლებლობის შესახებ. გააცნო მათ კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები.
კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობდა და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების ორგანიზებაში.
მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა დასაქმების ბაზრის შესწავლა და შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მიწოდება სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის.

ჩატარდა შეხვედრები დამსაქმებლებთან, სადაც კურსამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს.
გამოიკითხა მარნეულის რეგიონის სოფლების სკოლის მოსწავლეები თუ რომელ პროფესიულ პროგრამაზე ისურვებდნენ სწავლას, გამოიკვეთა მოთხოვნადი პროფესიული პროგრამები.
მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები. ჩატარდა თვითმართველობის არჩევნები. ასევე, ჩატარდა დამსაქმებელთა კვლევა ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდებაზე დაკვირვების მიზნით.
ჩატარდა შეხვედრები თემაზე: პირველადი გადაუდებელი დახმარება, ნარკოტიკის მავნებლობა და სხვა.

26 მაისს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში სტუდენტების მონაწილეობით , გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებას დაესწრო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, მარნეულის რეგიონის სკოლის დირექტორები, მარნეულის საელჩოს წარმომადგენლები. აგრეთვე, ჩატარდა ნოვრუზ ბაირამისადმი მიძღვნილი დიდი ღონისძიება, რომელშიც მოწვეული იყვნენ რეგიონის სახვადასხვა წარმომადგენლები.

ივლისი-აგვისტოს თვე დატვირთული იყო ვიზიტებით ქვემო ქართლის რეგიონის სკოლებში და თემებში, სადაც ჩატარდა პროფორიენტაცია, ვისაუბრეთ პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, კოლეჯში არსებულ პროფესიებზე და ამ პროფესიებით დასაქმების შესაძლებლობებზე.

მოვიარეთ სოფლები და „თემები“, შევხვდით მოსახლეობას რასაც მოჰყვა მათი მხრიდან აქტივობა, რამაც ხელი შეუწყო მათ სწორად მიეღოთ გადწყვეტილებები შემდგომი განათლების მიღების მიზნით, რაც აისახა 2024 წლის მიღებაზე ჩვენს კოლეჯში.

ასევე, ჩატარდა კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის შედეგები მოცემულია დანართი 3-ში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში კოლეჯის ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში, რომლებიც მარნეულის მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში დაიგეგმა და განახორციელდა, რის შედეგადაც პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 2024 წლის რეგისტრაციისათვის გაიზარდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს 2024 წელს გამომდინარე პროფესიული პროგრამების მოთხოვნებისა მოუწია ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიება, აქედან გამომდინარე სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის კოლეჯის საქმიანობის დეტალებში გაცნობა, მათ წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება.
სისტემატიურად მიმდინარეობდა პროფესიულ განათლებაში და კოლეჯში მიმდინარე სიახლეების პრესრელიზებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება და მათი განთავსება კოლეჯის ვებ გვედზე და სოციალურ ქსელში. აგრეთვე, დაიგეგმა და ჩატარდა კოლეჯში დიპლომის გადაცემის ცერემონია.
26 მაისისადმი დაგეგმილ და ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები, მარნეულის თვითმართველობის წარმომადგენლები და

მარნეულში არსებული სასწავლო დაწესებულებების წარმოადგენლები. კოლეჯში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ინიციატივით სტუმრად იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის წამყვანი უნივერსიტეტის ADA-ს ადმინისტრაცია, რომლებმაც ჩვენს კურსდამთავრებულებს გააცნეს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია ჩვენს კურსდამთავრებულებში.
ყველა ღონისძიების შესახებ ინფორმაციის ასახვა დროულად წარმოებდა კოლეჯის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე, განსაზღვრულ ვადებში პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების და შეფასებების მონიტორინგს. შეფასების შედეგების მიხედვით განსაზღვრავდა იმ პროფესიულ სტუდენტთა შემადგენლობას, ვინც უნდა გასულიყო განმეორებით შეფასებაზე. ასევე, წარმოებდა შეფასების შედეგების შეტანა უწყისებში და პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისებისა და მისი განათლების აღიარების განხილვა. მომზადდა დიპლომი და დიპლომის დანართები. სხვა და სხვა კვალიფიკაცია მიენიჭა კოლეჯის სტუდენტებს. ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება''.
2024 წლის მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა, სტატუსი აღუდგა და მართვის საინფორმაციო სისტემაში აისახა 553 პროფესიული სტუდენტის მონაცემები.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ წარმოებდა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია მოდულის დაწყებამდე 7 დღით ადრე.
ყოველი თვის ბოლოს ითვლებოდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ჩატარებული საათები და მიეწოდებოდა ფინანსურ მენეჯერს.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი . მოდულებზე სწავლების პროცესში და შეფასებაზე წარმოებდა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრის დასწრება და მიმდინარე პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარის წარმოჩენა. 2024 წელს ჩატარდა ვერიფიკაციის პროცესი. შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა შეფასების ინსტრუმენტები და ჩაუტარდათ ვერიფიკაცია, რომლის შემდგომ დაიდო დასკვნა. დაიგეგმა დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების დანერგვა.
ჩატარდა ანონიმური გამოკითხვა პროფესიული სტუდენტთა დამოკიდებულება კოლეჯსა და სწავლა-სწავლების პროცესების მიმართ (დანართი 4), საიდანაც ირკვევა რომ გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია კოლეჯში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესით, და ის უკმაყოფილება რაც დაფიქსირდა ერთეული პროფესიული სტუდენტების მიერ მომდევნო წელს იქნება აღმოფხვრილი. აგრეთვე გამოიკითხა 50 პროფესიული მასწავლებელი ანონიმურად (დანართი 5), და ამ კვლევის შედეგების და რეკომენდაციების გათვალისწინებით გაიწერა სამოქმედო გეგმა (დანართი 6).
საქმისწარმოების მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას და უზრუნველყოფდა კოლეჯის დოკუმენტ-ბრუნვას და მის სისტემატიზაციას; იყენებდა Eflow-ს და წესების დაცვით აწარმოებდა დოკუმენტ-ბრუნვას.

წლის განმავლობაში ორგანიზებას უწევდა სამუშაო შეხვედრებსა და თათბირებს. ასევე საქმისწარმოების დებულების შესაბამისად აწარმოებდა რეგისტრაციის ჟურნალებს, დიპლომების, სერტიფიკატებისა და დანართების აღრიცხვას და მათ გაცემას.

2024 წელს კოლეჯმა მიიღო და სტუდენტის სტატუსი მიანიჭა 553 პირს. მიღებულ სტუდენტებთან გააფორმა ხელშეკრულება, მოაწესრიგა სტუდენტთა პირადი საქმე პროგრამების მიხედვით, რომელთა მონაცემები განათლების შესახებ ასახულ იქნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ასევე აიტვირთა სტუდენტთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე, 2024 წელს დალაგდა და გადაიხედა არქივი.
2024 წელს კოლეჯში მიღებულ იქნა ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა ინტეგრაციასაც ხელი შეუწყო საქმისწარმოების მენეჯერმა.

მთელი წლის განმავლობაში ფინანსური მენეჯერი მიერ წარმოებდა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის პროცესის კოორდინაცია, ფინანსური ანგარიშგების, მიღება-ჩაბარებისა და ურთიერთშედარების აქტების მომზადება, სამეურნეო ოპერაციების გაფორმება, ხელფასების გაანგარიშება და სახელფასო უწყისების მომზადება, მივლინების გაანგარიშება, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა. ასევე, წარმოებდა გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება მოწოდებული მონაცემების შეჯერებით; შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტი 2024 წლის იანვარში.

მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო კოლეჯში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება. შემუშავებულ იქნა და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შეიქმნა შემდეგი ჟურნალები:

- ცეცხლ-მაქრის პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი;
- უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი;
- საშიში შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გამოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;
- პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი;
- შრომის უსაფრთხოების სწავლების (ტრენინგების) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი.

დაინიშნა შენობაში ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ თრობაზე პასუხისმგებელ პირი. აგრეთვე, შემუშავდა და დამტკიცდა შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების ინსტრუქცია და გაიწერა სამუშაო ადგილზე რისკები.

პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ სასწავლო განგაშის იმიტირება ხანძრის შემთხვევაში, ხოლო ადმინისტრაციულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი ხანძრის დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ.

დანართი 1

შესავალი

შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში, დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობაში ყოფნისთვის, წლის განმავლობაში, ტარდება სხვადასხვა მიმართულების კვლევები. წინამდებარე ანგარიში მოიცავს დაწესებულების პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზს და რეკომენდაციებს, მიღებული შედეგების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგები გამოიყენება პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კვლევა ჩატარდა 2024 წლის ნოემბერში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პერსონალის დამოკიდებულებების, შეფასებების, რეკომენდაციების შესწავლა კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებზე/საკითხებზე, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც განხორციელდა რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის განსახორციელებლად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იყო ელექტრონული გამოკითხვა, Google Doc-ის საშუალებით. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად.

შერჩევა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოკითხვისთვის შეირჩა დაწესებულების ყველა პერსონალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

სულ შერჩევის მოცულობა იყო - 16 რესპონდენტი

გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა - 13 რესოპნდენტი.

გამოკითხვის შედეგების ანალიზი

ავტორიზაციის პირველი სტანდარტი მოიცავს მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას. როგორც მისიის, ისე სტრატეგიუილ განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს კოლეჯის ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი. სწორედ აღნიშნული ადამიანების მიერ ერთობლივად შეჯერებული და გაზიარებული უნდა იყოს მისია და სტრატეგიული გეგმა.

ამის გათვალისწინებით, დაწესებულებისთვის, კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, რესპონდენტების მიერ მისიისა და სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმების შემუაშავებაში მათივე ჩართულობის შეფასება.

ვიცნობ კოლეჯის მისიას, ღირებულებებს, ხედვას, სტრატეგიული განვითარების გეგმას

ვიზიარებ კოლეჯის მისიას, ღირებულებებს, ხედვას, სტრატეგიული განვითარების გეგმას

ჩართული ვიყავი კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები



როგორც ვხედავთ, გამოკითხული რესპონდენტებიდან ყველა მათგანი იცნობს და იზიარებს დაწესებულების მისიას, ღირებულებებს, ხედვას, სტრატეგიული განვითარების გეგმას. რაც შეეხება მათ შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას, ვხედავთ, რომ მათი 61% მონაწილეობდა, ხოლო 38% ნაწილობრივ. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ მათმა ნაწილმა კოლეჯში მუშაობა მას შემდეგ დაიწყო რაც უკვე შემუშავებული იყო აღნიშნული დოკუმენტები.

გამოკითხვის ფარგლებში, შეფასდა, ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტის - სამოქმედო გეგმების შემუშავებაში რესპონდენტების ჩართულობა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ვხედავთ, რომ გამოკითხული რესპონდენტების აბსოლიტური უმრავლესობა მონაწილეობდა სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. ასევე, ყველა მათგანმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ კოლეჯისგან ყოველთვის იღებს შესაძლებლობას გამოხატოს უკუკავშირი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ დაწესებულების სამოქმედო გეგმა ერთობლივადაა შემუშავებული და გაზიარებულია კოლეჯის სტრატეგიულად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ.

მონაწილეობას ვღებულობ კოლეჯის სამოქმედო გეგმების შედგენაში

კოლეჯი ყოველთვის მაძლევს საშუალებას გამოვთქვა უკუკავშირი სამოქმედო გეგმის პროექტზე

დაწესებულების პერსონალის პროდუქტიული მუშაობისთვის, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კომფორტული სამუშაო გარემო და კოლეჯის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა. ქვემოთ დიაგრამებზე შეგიძლიათ იხილოთ შედეგები:

რამდენად კმაყოფილი ხართ სხვა/დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.)



რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიცირება, დიზაინი და ა.შ.)



რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს სამუშაო ოთახში არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიცირება, დიზაინი და ა.შ.)



რამდენადაა დაცული კოლეჯში უსაფრთხოების ნორმები



რამდენად მისაღებია თქვენთვის კოლეჯში არსებული სამუშაო გარემო ზოგადად



რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი იმას, რომ მუშაობის პერიოდში პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად



როგორც დიაგრამებზე ვხედავთ, რესპონდენტების უმრავლესობამ (4.5 საშუალო ქულა) დადებითად შეაფასა სამუშაო სივრცე და რესპონდენტები ძირითადად კმაყოფილები არიან საერთო სივრცეების (მაგ., ოთახები, დერეფნები) სისუფთავით.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასა დაწესებულების პერსონალს შორის კომუნიკაციის საკითხი, რადგან სწორედ სწორი კომუნიკაციის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა საკითხების დროულად მოგვარება. ასევე სწორი კომუნიკაცია ქმნის ურთიერთნდობის გარემოს და აადვილებს ინფორმაციის გაცვლას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის. სწორედ ამიტომ კვლევის ფარგლებში რესპოდენტებმა შეაფასეს კომუნიკაციის საკითხები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე შეგიძლიათ იხილოთ შედეგები.

რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები კოლეჯის მმართველ რგოლებთან



რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები სხვა პერსონალთან



პირადად თქვენ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ კოლეჯის სხვა პერსონალთან



- რესპონდენტების უმრავლესობამ დადებითად შეაფასა ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის მექანიზმები (4.3 საშუალო ქულა). როგორც ჩანს, კომუნიკაციის არსებული მექანიზმები კარგად ფუნქციონირებს და უმეტეს შემთხვევაში ეფექტურია.

კვლევის ფარგლებში შეფასდა სამუშაო პროცესის უზრუნველყოფისთვის საჭირო ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსები.

რამდენად შეესაბამება თქვენი მატერიალურ-ტექნიკური სამუშაო გარემო დადგენილ სტანდარტებს?



რამდენად კმაყოფილი ხართ საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი)



რამდენად კმაყოფილი ხართ ინვეტარით, რომელსაც იყენებთ



- პერსონალმა აღნიშნა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები (სისტემური პროგრამები, ინტერნეტი და სხვა) მათ სამუშაო მოთხოვნებს ძირითადად აკმაყოფილებს.
- კომპიუტერების რაოდენობა, ხარისხი და სიმძლავრე ძირითადად დადებითად არის შეფასებული, თუმცა როგორც ვხედავ რამდენიმე რესპოდეტმა საშუალოდ შეაფასა ეს საკითხი.

კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა კოლეჯთან დადებული ხელშეკრულება, თუ რამდენად იცავს კოლეჯი ხელშეკრულების პირობებს, ანაზღაურებით პერსონალთა კმაყოფილება, ზოგადად პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები და სხვა საკითხები. ქვემოთ დიაგრამაზე შეგიძლიათ იხილოთ კითხვები და შედეგები.

რამდენად იცავს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს



რამდენად იცავს კოლეჯი თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს



რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამსახურებრივი პოზიციით



რამდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები



რამდენად მისაღებია თქვენთვის პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები



რამდენად მისაღებია კოლეჯში მოქმედი პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები



რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით



რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში მუშაობით



თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენად ხართ ჩართული კოლეჯის გადაწყვეტილებების მიღებაში



კვლევის ეს ნაწილი, როგორც დიაგრამებზე იხილეთ ეხება შრომით გარემოში არსებული შეთანხმებების და პირობების, ეთიკის და მოტივაციის საკითხების,

- პერსონალმა აღნიშნა, რომ კოლეჯი სრულად იცავს შრომით ხელშეკრულებებსა და მათ უფლებებს, რაც აძლიერებს თანამშრომლების ნდობას ორგანიზაციისადმი.
- თანამშრომლების უმეტესობა კმაყოფილია თავისი პოზიციით, თუმცა რამდენიმე მათგანი განვითარებისთვის დამატებით შესაძლებლობებს ითხოვს.
- ანაზღაურება საერთო ჯამში მისაღებია, თუმცა ზოგიერთი თანამშრომლისთვის ხელფასი არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს.

- რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, კოლეჯში დაცულია ეთიკის ნორმები, რაც სამუშაო გარემოს სანდოობას ზრდის.
- თანამშრომლების წახალისებისთვის გამოყენებული მექანიზმები (მაგ., პრემიები, საჯარო აღიარება) დადებითად იქნა აღქმული. თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა დამატებითი წამახალისებელი მიდგომების საჭიროება.
- რესპოდენტების უმრავლესობის აზრით, მონიტორინგის მექანიზმები ეფექტურადაა ორგანიზებული.

კითხვარის ბოლოს, რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა მათი **რეკომენდაციების და იდეების შესახებ:** (გთხოვთ, დაწვრილებით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები, იდეები ან ნებისმიერი პრობლემა და პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვა). გთავაზობთ პასუხებს:

„სასურველია დაემატოს კვალიფიციური კადრები, სხვადასხვა პოზიციებზე./ გაიზარდოს ანაზღაურება“

„ჩემი სურვილია, მოხდეს კადრების დამატება“

„ბიბლიოთეკაში წიგნების დამატება კარგი იდეა იქნებოდა

„კარგი იქნებოდა თითოეული სტრუქტურისთვის მისი პოზიციის შესაბამისი ტრენინგები“

„პირველად სამედიცინო დახმარებაზე ტრენინგის ჩატარება“

„რეგულარული ტრენინგები ადმინისტრაციისთვის“

ძირითადი მიგნებები:

1. **მისია და სტრატეგიული გეგმები**
    - პერსონალის 100%-მა იცის და იზიარებს კოლეჯის მისიას, ღირებულებებს, ხედვას და სტრატეგიულ გეგმას.
    - რესპონდენტების 61% აქტიურად მონაწილეობდა მისიისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში, 38% კი ნაწილობრივ ჩართული იყო.
2. **სამოქმედო გეგმები**
    - ყველა რესპონდენტი ჩართული იყო სამოქმედო გეგმების შედგენაში და ადასტურებს უკუკავშირის გამოხატვის შესაძლებლობას.
    - სამოქმედო გეგმები საერთო თანამშრომლობით არის შედგენილი.
3. **სამუშაო გარემო და ინფრასტრუქტურა**
    - სამუშაო გარემოს შეფასება მაღალია (4.5 საშუალო ქულა).
    - პერსონალის უმრავლესობა კმაყოფილია საერთო სივრცეებისა და ოთახების სისუფთავით.
    - ტექნიკური და საინფორმაციო აღჭურვილობა უმეტესად აკმაყოფილებს პერსონალის საჭიროებებს, თუმცა რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა საშუალო კმაყოფილება.
4. **კომუნიკაცია**
    - კომუნიკაციის მექანიზმები ადმინისტრაციასთან და სხვა პერსონალთან დადებითად არის შეფასებული (4.3 საშუალო ქულა).

- კომუნიკაცია ეფექტურად ფუნქციონირებს და ინფორმაციის დროულ გაცვლას უწყობს ხელს.

5. **შრომითი პირობები და მოტივაცია**
    - პერსონალი კმაყოფილია შრომითი ხელშეკრულებების პირობებით და უფლებების დაცვით.
    - უმრავლესობა კმაყოფილია სამსახურებრივი პოზიციით, თუმცა დამატებითი განვითარების შესაძლებლობები საჭიროდ მიიჩნია რამდენიმე თანამშრომელმა.
    - ანაზღაურება ზოგადად მისაღებია, თუმცა ზოგიერთი თანამშრომელი დამატებით ხელფასის ზრდას ითხოვს.
    - ეთიკის ნორმების დაცვა ორგანიზაციაში მაღალია და სამუშაო გარემოს სანდოობას ზრდის.
    - წახალისების მექანიზმები დადებითად აღიქმება, თუმცა არის საჭიროება დამატებითი მიდგომების შემუშავებისთვის.

რეკომენდაციები:

1. მიუხედავად იმისა, რომ რესურსები საკმარისადაა შეფასებული, საჭიროა ზოგიერთი ტექნიკური და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის განახლება.
2. ანაზღაურებისა და სამსახურებრივი განვითარებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნა.
3. წამახალისებელი მექანიზმების გაუმჯობესება და მრავალფეროვნება.
4. გაიზარდოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების/ინსტრუქტაჟების/ტრენინგების ჩატარების სიხშირე, პირველად გადაუდებელ დახმარებასთან და უსაფრთოების (მაგ: სახანძრო ინსტრუქტაჟი) საკითხებთან დაკავშირებით.
5. ტრენინგები პერსონალისთვის მათი პროფესიული მიმართულებით.
6. საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნება.
7. კვალიფიციური კადრების დამატება.

დანართი 2

პერსონალის შეფასების ანალიზი

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ შეფასდა 14 სტრუქტურული ერთეული, ცხრილში არ არის სახელი და გვარები, ცხრილში მოცემულია მათი ნომრები კონფიდენციალობის მიზნით. თითიეული მათგანი ინდივიდუალურად გაეცნო საკუთარ შეფასებას. - შეფასების სისტემა: 5 - ძალიან კარგი, 4 - საშუალო, 3 - ცუდი

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
გამართულად ასრულებს სამუშაოს	5	5	4	3	5	4	5	5	5	4	5	5	5	5
პუნქტუალურია	4	4	5	4	5	4	4	5	5	5	4	4	4	5
პასუხისმგებლიანია	4	5	3	5	4	5	5	4	5	5	5	5	5	5
ეფექტურად იყენებს რესურსებს	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
ფლობს საჭირო თეორიულ ცოდნას	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე	5	5	4	5	5	5	5	5	4	5	5	5	5	5
გათვითცნობიერებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა	4	4	5	5	5	4	5	5	5	4	5	5	5	5
ფლობს საჭირო ტექნიკურ უნარ-ჩვევებს	5	5	4	4	5	5	4	5	5	5	5	5	5	5
ეფექტურად ურთიერთობს კოლეგებთან	5	5	5	4	5	5	5	5	5	5	5	5	4	5
იღებს კონსტრუქციულ უკუკავშირს	4	5	5	4	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
აქვს გუნდური მუშაობის უნარი	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
ზრდის გუნდის პოზიტიურ ატმოსფეროს	4	4	5	5	5	4	5	5	5	4	5	5	5	5
გამოხატავს ახალ ოდეებსა და წინადადებებს	3	3	3	4	3	3	4	5	3	3	4	5	5	5
მზად არის	4	4	3	4	5	4	5	5	5	5	4	4	5	5

ცვლილებებისთვის														
ეძებს გაუმჯობესების გზებს	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
აქვს პრობლემური სიტუაციების გადაჭრის უნარი	4	4	3	5	4	5	3	5	4	5	3	5	4	3






პასუხისმგებლიანია
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


ეფექტურად იყენებს რესურსებს
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


ფლობს საჭირო თეორიულ ცოდნას
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


გათვითცნობიერებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


ფლობს საჭირო ტექნიკურ უნარ-ჩვევებს
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


ეფექტურად ურთიერთობს კოლეგებთან
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


იღებს კონსტრუქციულ უკუკავშირს
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


აქვს გუნდური მუშაობის უნარი
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


ზრდის გუნდის პოზიტიურ ატმოსფეროს
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


გამოხატავს ახალ ოდეებსა და
წინადადებებს
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14


მზად არის ცვლილებებისთვის
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14





შეფასების საერთო სურათი კი ამდაგვარია

1. რესურსების გამოყენება - სტაბილურად მაღალია

2. თეორიული ცოდნა - მაღალი პროფესიული კომპეტენცია

3. გუნდური მუშაობა - სტაბილურად მაღალი შეფასება, გუნდის წევრები ერთმანეთთან ეფექტურად თანამშრომლობენ

4. ახალი იდეების გენერირება - შეფასებები 3-დან 5-მდე მერყეობს, საჭიროებს სტიმულირებას და კრეატიულობის განვითარებას.

5. პრობლემის გადაჭრის უნარი - არაერთგვაროვანი შეფასებები, საჭიროებს დახვეწას და სისტემატიზაციას

გასაუმჯობესებელი სფეროები:

- ინოვაციურობა
- ცვლილებებისადმი მზაობა
- კონსტრუქციული იდეების შემოთავაზება

რეკომენდაციები:

- გუნდისთვის კრეატიულობის ტრენინგების ჩატარება
- ინოვაციური აზროვნების სტიმულირება, წახალისების სისტემის შემოღება საუკეთესო იდეებისთვის
- პრობლემის გადაჭრის ერთიანი მიდგომების შემუშავება
- ცვლილებებისადმი მეტი მოქნილობის გამომუშავება

დასკვნა:

ძლიერი პროფესიული გუნდია, რომელსაც აქვს მაღალი პოტენციალი შემდგომი განვითარებისთვის.

ზევით მოცემული ორი დოკუმენტის შედეგების გათვალისწინებით გაიწერა გეგმა, რომელსაც წარმოგიდგენთ ქვევით:

1. ტექნიკური და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის განახლება

- კოლეჯში არსებული მოწყობილობების მდგომარეობის შეფასება და მოძველებული აღჭურვილობის ჩანაცვლება თანამედროვე, ეფექტური ტექნიკით.

- **დრო:** (დეკემბერი - მაისი)

2. ანაზღაურებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობები

- თანამშრომლების კმაყოფილების გაზრდა და მათი პროფესიული ზრდის მხარდაჭერა. (ანაზღაურების პოლიტიკის გადახედვა და პოზიციების მიხედვით კონკურენტული ხელფასების განსაზღვრა, ახალი წამახალისებელი სისტემის შემუშავება)
- ტრენინგების ჩატარება შემდეგ საკითხებზე:
    - **ტრენინგი 1:** „კრეატიული აზროვნების ტექნიკები“;
    - **ტრენინგი 2:** „ინოვაციური მიდგომები და იდეების პრეზენტაცია“;
    - კონკურსები ინოვაციური პროექტებისთვის და მათი დაფინანსება.
    - **ტრენინგი 3**: სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი
    - **ტრენინგი 4:** პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები
    - **ტრენინგი 5:** უსაფრთხოების საკითხების შესახებ ინფორმაციული შეხვედრები.
    - ტრენინგები პერსონალისთვის მათი პროფესიული მიმართულებით.
- **დრო:** თებერვალი - სექტემბერი

3. საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნება

- ახალი წიგნებისა და რესურსების დამატება.
- თანამშრომლებისთვის წიგნების და მასალების შესახებ სემინარების ჩატარება.

დანართი 3

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის 2024 წლის სექტემბერში ჩატარებული კვლევის ანგარიშს, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის კურსდამთავრებულები.

კვლევის მიზანი

კურსდამთავრებულების მიერ კოლეჯში პროგრამების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რელევანტურობის შეფასება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის ამოცანები:

1. კურსდამთავრებულთა მოლოდინებისა და მიღებული ცოდნით კმაყოფილების შეფასება.

2. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა.

4. დაწესებულების როლის შესწავლა კურსდამთავრებულების დასაქმებაში

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კითხვარის გამოყენების საშუალებით. შეკითხვები წარმოდგენილი იყო ღია და დახურული სახით. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად. კითხვარი იყო ანონიმური. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 78კურსდამთავრებულმა.

ქვევით წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს:

ასაკი	
ა)14-20	1
ბ) 21-30	49
გ) 31-40	28
დ) 41-50	0
ე) 50+	0



გამოკითხულთა 24 მამრობითი სქესის წარმომადგენელია და 54 მდედრობითი.

სქესი

ა) მდედრობითი	54
ბ) მამრობითი	24



რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდით?

ა) აღმზრდელი	37
ბ) საექთნო განათლება	15
გ) ინფორმაციის ტექნოლოგია	12
დ) საფინანსო სერვისები	14



ხართ თუ არა დასაქმებული?

ა) დიახ, კოლეჯში მინიჭებული კვალიფიკაციით	34%
ბ) დიახ, სხვა პროფესიით	23%
გ) არა	43%



გამოკითხულთა 43%-ს, რომელიც არ არის დასაქმებული დაესვათ დამატებით კითხვები დაუსაქმებლობის მიზეზების, დასაქმებაში შემაფარხებელი ფაქტორების და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ პასუხებით.

თქვენი დაუსაქმებლობის მიზეზი:

ა) ოჯახური მდგომარეობა	58%
ბ) ვერ ვშოულობ სამსახურს	27%
გ) არ მაქვს სათანადო ცოდნა	3%
დ) სხვა ----------	12%



ამ ეტაპზე, დაინტერესებული ხართ თუ არა დასაქმებით?

ა) დიახ, დაინტერესებული ვარ მხოლოდ ჩემი პროფესიით	57%
ბ) დიახ, დაინტერესებული ვარ, პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს	16%
გ) არ ვარ დაინტერესებული	27%



რა შემაფერხებელი ფაქტორები გხვდებათ სამსახურის ძიების პროცესში?

ა) უცხო ენების არასათანადო დონეზე ცოდნა;	78%
ბ) პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობა;	21%
გ) კომპიუტერული უნარ-ჩვევების არასათანადო ფლობა	1%
დ) სხვა ----------	0



გამოკითხულთა 57%-მა აღნიშნა, რომ არის დასაქმებული შესაბამისად საინტერსო იყო მათი ანაზღაურება.

საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება

ა) 300 ლარზე ნაკლები	0
ბ) 300 – 750	48%
გ) 800 – 1050	52%
დ) 1100 - 1500	0
ე) 1500 ლარზე მეტი	



საინტერესო იყო სტუდენტების მხრიდან პროგრამის შეფასება, შესაბამისად მათ დაესვათ კითხვა თუ რამდენად გაამართლა კოლეჯში მიღებულმა განათლებამ მათი მოლოდინები/ან რამდენად საკამრისი იყო პრაქტიკული/თეორიული მეცადინეობების საათი. პასუხები იხილეთ ქვევით.

შეესაბამება თუ არა კოლეჯში მიღებული განათლების შედეგები თქვენს მოლოდინებს?

ა) დიახ	86%
ბ) არა	2%
გ) ნაწილობრივ	12%



რამდენად საკმარისი იყო თეორიული მეცადინეობების საათები?

ა) საკმარისი იყო	92%
ბ) არ იყო საკმარისი	0
გ) ნაწილობრივ საკმარისი იყო	8%



რამდენად საკმარისი იყო პრაქტიკული მეცადინეობების საათები?

ა) საკმარისი იყო	92%
ბ) არ იყო საკმარისი	0
გ) ნაწილობრივ საკმარისი იყო	8%



რას შეცვლიდით სასწავლო გეგმაში?

ა) შევამცირებდი მოდულის განხორციელების დროს კვირეული გაზრდის ხარჯზე	57%
ბ) მხოლოდ მოდულის დასრულების შემდეგ დავიწყებდი შემდეგ მოდულს	21%
გ) ონლაინ სწავლებას დაუჭერდი მხარს	22%



როგორ შეაფასებთ სასწავლო პროცესთან და მასწავლებლებთან/ინსტრუქტორებთან დაკავშირებულ ქვემოთ წარმოდგენილ ასპექტებს? (შეაფასეთ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 - ძალიან კარგი)



დიაგრამის მიხედვით სტუდენტებმა შეაფასეს შემდეგი საკითხები:

- სწავლების ხარისხი
- მასწავლებლების/ინსტრუქტორების კვალიფიკაცია
- მასწავლებლებთან/ინსტრუქტორებთან კონსულტაცია
- კავშირი თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს შორის

43 სტუდენტმა 5 ქულით შეაფასა ყველა საკითხი, 19-მა - 4 ქულით, 11-მა - 3 ქულით, ხოლო 5-მა - 2 ქულით.

რამდენად შეიძინეთ/განივითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში? (შეაფასეთ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 არის საერთოდ არ განმივითარებია, ხოლო 5 - საფუძვლიანად განვივითარე)



დიაგრამის მიხედვით, 45 სტუდენტმა 5 ქულა დაუწერა ორივე საკითხს, 13 სტუდენტმა - 4 ქულა, 15 სტუდეტმა - 3 ქულა, ხოლო 5 სტუდეტმა - 2 ქულა

კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს დასაქმებას?

ა) დიახ	82%
ბ) არა	18%
გ) სხვა	0



შეესაბამება თუ არა პროგრამის მიზნები, რომელზეც სწავლობდით თქვენს სფეროში შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს?

ა) დიახ	87%
ბ) არა	7%
გ) ნაწილობრივ	6



სწავლის პერიოდში იღებდი თუ არა ინფორმაციას იმ ვაკანსიების შესახებ, რომელიც თქვენს სფეროს ეხებოდა?

ა) დიახ	100%
ბ) არა	0



იმართებოდა თუ არა კოლეჯში დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებები?

ა) დიახ	95%
ბ) არა	0
გ) არვიცი	5%



იყავით თუ არა ჩართული კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილ დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში?

ა) დიახ	86%
ბ) არა	14%



ჩამოთვლილი პიროვნული უნარებიდან, კოლეჯმა თქვენი რომელი უნარების განვითარებას შეუწყო ხელი?

ა) გუნდური მუშაობა	78%
ბ) ლიდერაობა	11%
გ) კომუნიკაცია	11%
დ) სხვა ----------	



დაგეხმარათ თუ არა კოლეჯი დასაქმებაში?

ა) დიახ	73%
ბ) არა	27%



რომელი კომპონენტი გამოგადგათ დასაქმებაში?

ა) თეორიული	20%
ბ) პრაქტიკული	37%
გ) ორივე ერთად	0
დ) არც ერთი	0
ე) არ ვმუშაობ	43%



კოლეჯის დასრულების მერე სწავლა განაგრძეთ თუ არა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე?

ა) დიახ	5%
ბ)არა	95%



კურსდამთავრებულებს ასევე დაესვათ კითხვა შემდეგი შინაარსით: **„თქვენი აზრით, რა მიმართულებით უნდა გააძლიეროს კოლეჯმა მუშაობა, იმისთვის რომ ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას?“**

კითხვაზე იყო ბევრი მსგავსი პასუხი, რაც გაიფილტრა და გთვაზობთ უცვლელი სახით:

„ჩემი აზრით, კოლეჯი ეტაპობრივად ვითარდება, მიხარია, რომ ამ კოლეჯში ვსწავლობდი.“

„ვფიქრობ კოლეჯი უნდა გთავაზობდეს აქტივობებს, რომლებიც არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ უნარებსაც ითვალისწინებდეს ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა პროფესიული ტრენინგები, სტაჟირებები, და სხვადასხვა ინდუსტრიებში, რომლებიც კურსდამთავრებულებს დასაქმების პროცესში უფრო კონკურენტუნარიანს გახდის“

„ვფიქრობ უმუშევარ სტუდენტებს ვაკანსიები ხშირად გაუზიარონ“

„ჩემთვის ყველაფერი დამაკმაყოფილებელია“

„ხშირად შეიძლება დაიგეგმოს შეხვედრები, სადაც იქნება საუბარი ვაკანსიების შესახებ“

„ბევრი ტრენინგები სტუდენტებისთვის“

„სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება“

კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის დეტალური ანალიზი

1. დემოგრაფიული მახასიათებლები

ასაკი

- 21-30 წლის ასაკის პირები დომინირებენ (63%), რაც მიუთითებს საკმაოდ ახალგაზრდა კონტინგენტზე
- 31-40 წლის ასაკის პირები შეადგენენ 36%-ს
- მინიმალური რაოდენობა (1%) მოდის 14-20 წლის ასაკობრივ ჯგუფზე

სქესი

- გამოკვლეულთა უმრავლესობა არის მდედრობითი სქესის (69%)
- მამრობითი სქესი შეადგენს 31%-ს

2. საგანმანათლებლო პროგრამები

კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით:

- აღმზრდელი - 47% (ყველაზე პოპულარული)
- საექთნო განათლება - 19%
- საფინანსო სერვისები - 18%
- ინფორმაციის ტექნოლოგია - 15%

3. დასაქმების მაჩვენებელი

- კოლეჯის კვალიფიკაციით დასაქმებული: 34%
- სხვა პროფესიით დასაქმებული: 23%
- დაუსაქმებელი: 43%

დაუსაქმებლობის მიზეზები

- ოჯახური მდგომარეობა: 58% (მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი)
- სამსახურის ძიების სირთულე: 27%
- არასაკმარისი ცოდნა: 3%

4. ეკონომიკური მდგომარეობა

ხელფასი

- 300-750 ლარი: 48%
- 800-1050 ლარი: 52%
- აღსანიშნავია, რომ არცერთი რესპონდენტი არ იღებს 1100 ლარზე მეტ ხელფასს

5. პროფესიული მოლოდინები

დასაქმებით დაინტერესება

- მხოლოდ პროფესიით დასაქმებით დაინტერესებული: 57%
- ნებისმიერი პოზიციით დაინტერესებული: 16%

- დაუინტერესებელი: 27%

6. პროფესიული გამოწვევები

სამსახურის ძიების სირთულეები

- უცხო ენების არასაკმარისი ცოდნა: 78% (ძირითადი გამოწვევა)
- პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობა: 21%
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების პრობლემა: 1%

7. სასწავლო პროცესის შეფასება

განათლების ხარისხი

- მოლოდინების სრული დაკმაყოფილება: 86%
- ნაწილობრივ დაკმაყოფილება: 12%
- მოლოდინების შეუსაბამობა: 2%

სასწავლო პროცესი

- თეორიული მეცადინეობების საკმარისობა: 92%
- პრაქტიკული მეცადინეობების საკმარისობა: 92%

8. კოლეჯის გავლენა დასაქმებაზე

- დასაქმებაში ხელშეწყობა: 82%
- პროგრამის მიზნების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან: 87%

9. დამატებითი აქტივობები

- ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიღება: 100%
- დასაქმების ღონისძიებებში მონაწილეობა: 95%

10. პიროვნული უნარების განვითარება

- გუნდური მუშაობა: 78%
- ლიდერობა: 11%
- კომუნიკაცია: 11%

ძირითადი დასკვნები:

1. დემოგრაფიული პროფილი: ძირითადად ახალგაზრდა, დომინანტურად მდედრობითი სქესის კურსდამთავრებულები.

2. დასაქმების გამოწვევები:

- მაღალი უმუშევრობის დონე (43%)

- ძირითადი დაბრკოლება - უცხო ენების ცოდნის ნაკლებობა

3. საგანმანათლებლო ხარისხი:

- მაღალი კმაყოფილება სასწავლო პროგრამებით
- პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობების დადებითი შეფასება

4. პერსპექტივები:

- უმეტესობა დაინტერესებულია პროფესიული დასაქმებით
- კოლეჯი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაში

რეკომენდაციები:

1. უცხო ენების სწავლების გაძლიერება

2. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი ყურადღება

3. დასაქმების მხარდაჭერის პროგრამების გაფართოება

4. კომპიუტერული უნარ-ჩვევების სწავლების გაუმჯობესება

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით კოლეჯმა სასწავლო პროცესებზე აქტიური დასწრებით და მასწავლებლების მონიტორინგით უნდა გააძლიეროს უცხო ენების, კომპიუტერული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება. გარდა ამისა, ხშირად უნდა გაიმართოს კოლეჯში დასაქმები მხარდამჭერი პროგრამები, მათ შორის დასაქმების ფორუმები.

შესავალი

შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში, დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობაში ყოფნისთვის, წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულების კვლევები ტარდება. წინამდებარე ანგარიში მოიცავს დაწესებულების პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზს და რეკომენდაციებს, მიღებული შედეგების გათვალისწინებით. კვლევა განხორციელდა შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში. კვლევის შედეგები გამოიყენება პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კვლევა ჩატარდა 2024 წლის აგვისტოს თვეში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტების დამოკიდებულებების, შეფასებების, რეკომენდაციების შესწავლა კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებზე/საკითხებზე, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც განხორციელდა რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის ამოცანებია პროფესიული სტუდენტების მიერ:

- კოლეჯის მისიისა და ღირებულებების შეფასება;
- დაწესებულებისგან გაწეული მხარდაჭერის შეფასება;
- სასწავლო პროცესის შეფასება;
- სტუდენტური და კარიერული სერვისების შეფასება;
- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეფასება;

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის განსახორციელებლად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იყო ელექტრონული გამოკითხვა, Google Doc-ის საშუალებით. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად. კითხვარები გაეგზავნათ შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს. შერჩეული მეთოდის შესაბამისად, კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 110 რესპონდენტმა, 216 სტუდენტიდან.



გამოკითხვის შედეგების ანალიზი

ავტორიზაციის მეორე სტანდარტი ეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც მოიცავს პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას და განვითარებას. პროგრამები უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, უზრუნველყოფდეს პრაქტიკული უნარების განვითარებას და შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიზნებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გაცნობილი სტუდენტებისთვის. კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების უკუკავშირი პროგრამის შესახებ.

სწავლის დაწყებისას გამაცნეს პროგრამის მიზნები



გამოკითხული რესპოდენტებიდან უმეტესობა (99%) აღნიშნავს რომ სწავლის დაწყესისას გააცნეს პროგრამის მიზნები.

პროგრამის მიზნები, რაზეც ვსწავლობ, ითვალისწინებს სტუდენტის მომზადებას დასაქმებისთვის



სტუდენტების 83,6% თვლის, რომ პროგრმის მიზნები ითვალისწინებს მათ მომზადებას დასაქმებისთვის, ხოლო 13,7% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ ითვალისწინებს.

პროგრამა მაძლევს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას



პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე



პროგრამის მოდულები კავშირშია ჩემს მომავალ საქმიანობასთან



მიმაჩნია, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი კოლეჯის ბაზაზე თანაბრად ხელმისაწვდომი და საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა სტუდენტისთვის



მიმაჩნია, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი პრაქტიკის ობიექტზე თანაბრად ხელმისაწვდომი და საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა სტუდენტისთვის



მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების მხრიდან სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის შეფასება, რადგან სასწავლო პროცესი უნდა იყოს მოქნილი და ორიენტირებული სტუდენტების საჭიროებებზე. რაც შეეხება შეფასების სისტემას უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის ობიექტური შეფასების საშუალებას.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე/მრავალფეროვანი მეთოდები



შეფასების პროცესში ყველა სტუდენტი თანაბარ პირობებში იყო



შეფასების პროცესი სამართლიანად, გამჭვირვალედ და ობიექტურად მიმდინარეობს



სასწავლო პროცესის დაგეგმვისას/განხორციელებისას, კოლეჯი შესაძლებლობის ფარგლებში, ითვალისწინებს ჩემი ან/და სხვა სტუდენტების ინიციატივებს/ საჭიროებებს



ვიცი, რომ საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია ვისარგებლო ჩემზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით



თქვენი ჩართულობა სასწავლო პროცესში



დაწესებულების მატერიალური, საინფორმაციო რესურსის, ინფრასტრუქტურის და საბიბლიოთეკო სერვისების შეფასება

ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტის ფარგლებში, ერთ-ერთი საკითხია რესპონდენტების მიერ საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება.

საინტერესოა რამდენად არის კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები საკმარისი სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

რესპოდენტებმა შეაფასეს კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების მრავალფეროვნება, ბიბლიოთეკის მომსახურება, სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა.

რამდენად აკმაყოფილებს ბიბლიოთეკაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი რესურსი თქვენს მოთხოვნებს?



კითხვაზე „რა სახის ლიტერატურის დამატებას ისურვებდით ბიბლიოთეკაში?“ პასუხები იყო განსახვავებული. გთავაზობთ პასუხებს:

„მხატვრული ლიტერატურა“

„სამედიცინო შინაარსის წიგნები“

„ინგლისური ენის წიგნები“

„აღმზრდელის პროგრამის წიგნები“

ვიცნობ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და შემიძლია ვისარგებლო ბიბლიოთეკით



კოლეჯის ბიბლიოთეკარი მუდამ მზად არის დასახმარებლად



კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების მიერ შეფასდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურა (აუდიტორიები), კომპიუტერული ტექნიკა.

როგორ შეაფასებდით სასწავლო აუდიტორიების (A, B, C გარემო) ხელმისაწვდომობას და მათ შესაბამისობას სასწავლო პროცესის საჭიროებებთან. (შეაფასეთ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 - ძალიან კარგი



კოლეჯში უზრუნველყოფილია კარგი ხარისხის ინტერნეტი და კომპიუტერულ რესურსებზე (კომპიუტერი/პრინტერის/ქსეროქსის აპარატი) ხელმისაწვდომობა



დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ჩემთვის ხელმისაწვდომია როგორც სწავლის პროცესში, ასევე არასაგაკვეთილო პერიოდში დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებისთვის



კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს ჩემს საჭიროებებს



გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ უმრავლესობის აზრით, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინტერნეტი, ინფრასტრუქტურა საკმარისია სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, გამოიკვეთა რესპონდენტების გარკვეული ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ დადებითად ან უარყოფითად აფასებს ამ საკითხებს.

რესპონდენტების მხრიდან შეფასდა, ასევე, სამედიცინო მომსახურება. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული რესპონდენტების 72%-ს აქვს ინფორმაცია, რომ კოლეჯში არის ექიმი/ექთანი, რომელსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში მიმართონ. თუმცა, გამოკითხულთა გარკვეულ რაოდენობას ინფორმაცია მედდის არსებობის შესახებ ნაკლებად აქვს (იხ. დიაგრამა).

კოლეჯში გვყავს ექიმი/ექთანი, რომელსაც შემიძლია ნებისმიერ დროს მივმართო



პირველად გადაუდებელ დახმარებასთან და უსაფრთოებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო ხასიათის ტრენინგებს რაც შეეხება, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა (70%) აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის ტრენინგები ჩაუტარდათ. თუმცა, მათი, ასევე, გარკვეული რაოდენობა აღნიშნავს, რომ ასეთი ტრენინგები არ ჩატარებიათ.

გვიტარდება ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით



კვლევის ფარგლებში, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის შეფასება თუ რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს რესპონდენტები დაწესებულების შიდა პერიმეტრზე. ამის გამოსავლენად მათ დაესვათ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები. ზოგადი ტიპის შეკითხვაზე, რამდენად კარგად იცნობენ კოლეჯში არსებულ უსაფრთხოების წესებს, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ (77%) დადებითი პასუხი გასცა, თუმცა, უნდა აღინიშნოს რესპონდენტების 20%-მა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ იცნობენ კოლეჯში არსებულ უსაფრთხოების ზოგად წესებს.

რამდენად კარგად იცნობთ კოლეჯის უსაფრთხოების წესებსა და პროცედურებს ?



კითხვაზე კოლეჯში თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობთ თუ არა სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს (86%).

გრძნობთ თუ არა კოლეჯში თავს უსაფრთხოდ და დაცულად



პროფესიული სტუდენტების პროდუქტიული სწავლისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კოლეჯის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე გთავაზობთ რესპონდენტების შეფასებას სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან და კოლეჯის შიდა პერიმეტრის სისუფთავესთან დაკავშირებით.

კოლეჯის აუდიტორიები/შენობა ყოველთვის სუფთაა და მოწესრიგებული



კოლეჯის სველი წერტილები ყოველთვის მოწესრიგებულია



კოლეჯის ჰიგიენური პირობები აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს



ცენტრალური გათბობის სისტემა უზრუნველყოფს შენობის გათბობას



კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე დაცულია წესრიგი და მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, რის შესახებაც ინფორმირებული ვარ.



ადმინისტრაციული მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისები

ავტორიზაციის მესამე სტანდარტში, სტუდენტების უფლებების დაცვის ნაწილში, მნიშვნელოვანია შეფასდეს ადმინისტრაციისგან გაწეული მხარდაჭერა, ასევე, სტუდენტური სერვისები. შესაბამისად, გამოკითხვის ფარგლელბში სტუდენტებმა შეაფასეს შემდეგი საკითხები:

ჩატარდა თუ არა საინფორმაციო შეხვედრა კოლეჯში ჩარიცხვისას?



რისი გაცნობა მოხდა საინფორმაციო შეხვედრაზე? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)



ვიცი, სად შეიძლება ვნახო დოკუმენტები, სადაც გაწერილია ჩემი უფლებები



რამდენად დაცულია თქვენი უფლებები კოლეჯში?



ავტორიზაციის პირველი სტანდარტი მოიცავს მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას. როგორც მისია, ისე სამოქმედო/სტრატეგიული გეგმები გაზიარებული უნდა იყოს დაწესებულების დაინტერესებული პირების მიერ, მათ შორის სტუდენტების მიერ.

ამის გათვალისწინებით, დაწესებულებისთვის, კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, თუ რამდენად იცნობენ რესპონდენტები დაწესებულების მისიას, ხედვას, ღირებულებებს და მარეგულირებელ აქტებს.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმის განსაზღვრა თუ რამდენად იზიარებენ დაწესებულების ღირებულებებს.

ჩართული ვიყავი კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები



ვიცი, სად შემიძლია ვნახო კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები



ჩართული ვიყავი კოლეჯის სტრატეგიული ან/და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები



კოლეჯში მისვლის დროს, გამაცნეს და დამეხმარნენ სასწავლო გარემოსთან შეგუებაში



ამ ნაწილში სტუდენტებმა შეაფასეს, ასევე, ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის საკითხი და ადმინისტრაციისგან მიღებული დახმარება. დიაგრამებიდან ვხედავთ, რომ ძირითადად სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინიასტრაციასთან ურთიერთობით, თუმცა, მაინც შეინიშნება საკითხები, რომელსაც მეტი ყურადღება სჭირდება. ამის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, რომ დაწესებულებამ პერიოდულად მოაწყოს შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც მოისმენს მათ საჭიროებებს და მიაწოდებს მათთვის საჭირო ინფორმაციას.

სწავლის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯისგან ვიღებ შესაბამის კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად



საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი გონივრულ/მისაღებ ვადაში მაწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას/ დოკუმენტაციას



როგორ შეაფასებდით ადმინისტრაციასთან ურთიერთობას? შეაფასეთ **1**-დან **3**-მდე სკალაზე, სადაც **1** არის ცუდი, ხოლო **3** - კარგი



როგორ იღებთ ინფორმაციას კოლეჯისგან და რა საშუალებებით ურთიერთობთ ადმინისტრ აციასთან/პერსონალთან? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)



კითხვაზე **„მიგიმართავთ თუ არა რაიმე ინიციატივით ადმინისტრაციისთვის? იყო თუ არა რეაგირება მათი მხრიდან?“** აღმოჩნდა რომ სტუდენტებს სპორტულ ღონისძიებაზე, კერძოდ შეჯიბრი ხელბურთში, ინიციატივა წარუდგინეს კოლეჯის ადმინისტრაციას, რაც დაკმაყოფილდა.

მაქვს შესაძლებლობა კოლეჯს მივცე უკუკავშირი/ინიციატივა, რაც შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია მომსახურეობის გასაუმჯობესებლად



კოლეჯის კატალოგი, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, მაძლევს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და აქტივობების შესახებ



იღებთ თუ არა ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსების/პროექტების/კონფერენციების შესახებ? (დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ საიდან იღებთ ინფორმაციას)



ავტორიზაციის მესამე სტანდარტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტუდენტების აკადემიური ხელშეწყობა, არამედ ექსტრაკურიკულური აქტივობები. სწორედ ამიტომ, კვლევის ფარგლებში სტუდენტებს დაესვათ შესაბამისი შეკითხვები, არაფორმალური ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ტარდება თუ არა კოლეჯში სტუდენტური ღონისძიებები ან ინტელექტუალური, შემოქმედებითი/სპორტული აქტივობები?



ინფორმირებული ხართ თუ არა კოლეჯში დაგეგმილი სტუდენტური ღონისძიებების შესახებ?



ტარდება თუ არა კოლეჯში ტრენინგები?



მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა დასაქმების ფორუმებში?



ახორციელებს თუ არა კოლეჯი დასაქმებისთვის ხელისშემწყობ ღონისძიებებს?



ხართ თუ არა დასაქმებული?

ავტორიზაციის მესამე სტანდარტის ფარგლებში, პროფორიენტაციული სერვისი და კარიერული ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაწესებულებაში.

მიგიმართიათ თუ არა საზოგადოებასთან ურთიერთობის, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერისთვის?



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა ტიპის კარიერული კონსულტაცია მიგიღიათ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერისგან? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)



კითხვარის ბოლოს, რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ კოლეჯში. გთავაზობთ პასუხებს:

"მინდა ბუფეტი"

„უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით შესწავლა"

„ინტერნეტი"

„ტექნოლოგების გაუმჯობესობა"

ძირითადი მიგნებები

საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლების ხარისხი

- სტუდენტების 99% აღნიშნავს, რომ სწავლის დაწყებისას გააცნეს პროგრამის მიზნები
- 83.6% თვლის, რომ პროგრამა ამზადებს დასაქმებისთვის.
- უმრავლესობა დადებითად აფასებს პრაქტიკის კომპონენტს და პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ძირითადად დადებითადაა შეფასებული.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- ბიბლიოთეკის რესურსები, მომსახურება, აუდიტორიები და სასწავლო გარემო დადებითად არის შეფასებული
- ინტერნეტზე და კომპიუტერულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა დადებითადაა შეფასებული

უსაფრთხოება და სანიტარული ნორმები

- სტუდენტების 86% თავს უსაფრთხოდ გრძნობს კოლეჯში
- 77% კარგად იცნობს უსაფრთხოების წესებს
- სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ძირითადად დადებითადაა შეფასებული

ადმინისტრაციული მხარდაჭერა

- სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია ადმინისტრაციასთან კომუნიკაციით
- ინფორმაციის მიწოდება და დოკუმენტაციის გაცემა დროულად ხდება
- სტუდენტებს აქვთ უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა

კარიერული მხარდაჭერა და დამატებითი აქტივობები

- ტარდება სტუდენტური ღონისძიებები და ტრენინგები
- ხორციელდება დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები
- კარიერული კონსულტაციები ხელმისაწვდომია

რეკომენდაციები

- სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, რაც ითვალისწინებს თვალსაჩინო ადგილას სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის განთავსებას.
- რეგულარულად საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება სტუდენტებისთვის კოლეჯში არსებული უსაფრთხოების ზოგად წესებსა და პირველად გადაუდებელ დახმარების შესახებ.
- საინფორმაციო შეხვედრების რეგულარული ჩატარება სტუდენტების საჭიროებების გასათვალისწინებლად.
- სტუდენტების უფლებების და შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

- სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება
- სტუდენტთა რეგულარული ინფორმირება კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.
- ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების გადახედვა, მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა ელექტრონული ლიტერატურის ჩანაცვლებით. ასევე, შესაძლებლობების ფარგლებში, ბიბლიოთეკის აღჭურვა კურიკულუმგარეშე ლიტერატურით.
- სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- მეტი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა.
- კოლეჯის ვებ-გვერდის შესახებ სტუდენტებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

შესავალი

კვლევის მიზანს წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლების დამოკიდებულებების, შეფასებების, საჭიროებების შესწავლა კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებზე/საკითხებზე, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც მოხდება რეკომენდაციების შემუშავება და ხარისხის გაუმჯობესება.

კვლევის ამოცანები

პროფესიული მასწავლებლების მიერ:

- პროგრამის/მოდულების შეფასება
- ადმინისტრაციისგან გაწეული მხარდაჭერის შეფასება
- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეფასება;
- საკუთარი საჭიროებების გამოვლენა და შეფასება

სამიზნე ჯგუფი: ყველა პროგრამის პროფესიული მასწავლებელი

ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანონიმური გამოკითხვა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 50-მა პროფესიული მასწავლებელმა.

პროგრამების მიხედვით კვლევაში მონაწილე მასწავლებლების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- აღმზრდელი - 15
- ინფორმაციის ტექნოლოგია - 8
- საფინანსო სერვისები - 8
- საექთნო განათლება - 19

ქვევით გთავაზობთ პროფესიულ მასწავლებლებთან ჩატარებული კვლევის შედეგებს:

რამდენად იცნობთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც თქვენ ასწავლით მოდულს/მოდულებს?

ა) სრულად ვიცნობ - 66%

ბ) ნაწილობრივ ვიცნობ - 14%

გ) მხოლოდ ჩემს მოდულს ვიცნობ - 20%



პროფესიულმა მასწავლებლებმა შეაფასეს პროგრამის სტრუქტურის შემდეგი საკითხების მიხედვით:

- 42 პროფესიული მასწავლებელი აღნიშნავს, რომ სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის დალაგებული, ხოლო 7-ის აზრით ნაწილობრივ ლოგიკურად არის დალაგებული.
- 45 პროფესიული მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოდულების თანმიმდევრობა სწორად არის განსაზღვრული, ხოლო 4-ის აზრით ნაწილობრივ არის.
- 5 პროფესიულმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიიღო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, 4-მა ნაწილობრივ, ხოლო 40-ს მონაწილეობა არ მიუღია.



ეთანხმებით თუ არა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს

ა) დიახ - 80%
ბ) ნაწილობრივ - 20%
გ) არა - 0%



თქვენი აზრით, შეესაბამება თუ არა პროგრამის შინაარსი სწავლის შედეგებს

ა) დიახ - 86%
ბ) ნაწილობრივ - 14%
გ) არა - 0%



გქონიათ თუ არა მსგავსი მოდულის განხორციელების გამოცდილება?

ა)დიახ - 55%
ბ)არა - 45%



როგორ შეაფასებთ მოდულის სტრუქტურას?

ა) კარგი - 92%
ბ) საშუალო - 8%
გ) ცუდი - 0%

რამდენად დაბალანსებულია მოდულში პრაქტიკული და თეორიული სწავლების კომპონენტები

ა) სრულად დაბალანსებულია - 100%
ბ) ნაწილობრივ დაბალანსებულია - 0%
გ) არ არის დაბალანსებული - 0%



შეადგინეთ თუ არა კალენდარული გეგმა მოდულის დაწყებამდე? (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ მიზეზი)

ა)დიახ - 100%

ბ)არა - 0%

გ)ნაწილობრივ - 0%

მოდულის განხორციელებისას ზუსტად იცავთ თუ არა კალენდარულ გეგმას?

ა) დიახ -92%

ბ) არა - 8%



როგორც ვხედავთ დიაგრამაზე, პროფესიულ მასწავლებელთა 8% არ იცავს ზუსტად კალენდარულ გეგმა სწორედ ამიტომ მათ დამატებით დაესვათ ღია კითხვა, რომელსაც ქვევით შემოგთავაზებთ:

„წინა კითხვაზე „არა“ პასუხის მონიშვნის შემთხვევაში რამ განაპირობა კალენდარულ გეგმაში ცვლილების შეტანის მიზეზი?“

კალენდარულ გეგმაში ცვლილების შეტანის ძირითადად მიზეზად კი დაასახელეს, რომ ზოგი მასალის ათვისება სტუდენტებს უჭირდათ, ამიტომ საჭირო იყო გარკვეული მასალებისთვს იმაზე მეტი დროის გამოყოფა ვიდრე ეს კალენდარულ გეგმაში იყო.

პროფესიულმა მასწავლებლებმა ასევე შეაფასეს შემდეგი საკითხები:

- 50 პროფესიული მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოდულებს, რომელსაც ახორციელებს, იგეგმება და მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

- 45 პროფესიული მასწავლებელი აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, ხოლო 5 ნაწილობრივ ეთანხმება ამას.



აუდიტორია იმგვარადაა შერჩეული, რომ შესაძლებელია პროგრამით განსაზღვრულ ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა

ა) სრულად ვეთანხმები - 88%
ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები - 12%
გ) არ ვეთანხმები - 0%



საინტერესო იყო კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსების პროფესიული მასწავლებლების მხრიდან შეფასება. სწორედ ამიტომ მათ შეაფასე ქვემოთ მოცემული საკითხები:

- 47 პროფ. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის, ხოლო 3 - ნაწილობრივ ეთანხმება ამას.
- 42 პროფ. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული ან/და მატერიალური სახით, ხოლო 8 ნაწილობრივ ეთანხმება ამას.



პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

ა) დიახ - 92%

ბ) არა - 0%

გ) ნაწილობრივ - 8%

დ) სხვა



შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, სტუდენტებს ვაძლევ სათანადო უკუკავშირს, რაც გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის

ა) სრულად ვეთანხმები - 100%

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები - 0%

გ) არ ვეთანხმები - 0%

შეგქმნიათ თუ არა პრობლემა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას?

ა) დიახ - 0 %

ბ) არა - 100%



მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ ოფიციალურად არ ჰყოლიათ სსსმ ან შშმ სტუდენტი, შესაბამისად არ დამდგარა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება.

რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ორგანიზებით?

ა) სრულად კმაყოფილი ვარ - 94%
ბ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ - 6%
გ) არ ვარ კმაყოფილი - 0%



ღია კითხვაზე - **„თქვენი დაკვირვებით რამდენად აქტიურად თანამშრომლობენ კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები ერთმანეთთან სწავლების პროცესში?“** - მასწავლებლები ძირითადად აღნიშნავენ რომ მათ ხშირი კომუნიკაცია აქვთ თანამშრომლებთ - სასწავლო პროცესის, ან კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ხშირად აქვთ თანამშრომლებთან საუბარი თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების შესახებ.

რამდენად ეფექტურია კოლეჯში პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები?

ა) ეფექტურია - 76%
ბ) არ არის ეფექტური - 8%
გ) ნაწილობრივ ეფექტურია - 16%



კოლეჯისთვის საინტერესო იყო როგორ შეაფასებდნენ მასწავლებლები შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მექანიზმებს, შესაბამისად მათ ამ საკითხებზეც დაესვათ კითხვები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველა რესპოდენტია კმაყოფილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მექანიზმებით და თვლის რომ ეს ჯგუფი მათ საქმიანობის ხარისხის ობიექტურად აფასებს.



ყველა პროფესიული მასწავლებელი აღნიშნავს, რომ კოლეჯის იცავს ეთიკის ნორმებს მათთან მიმართებით და მათთვის იოლია ადმინისტრაციასთან კონტაქტი. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი არ ყოფნის შემთვევაში ადმინისტაცია უზრუნველყოფს მოდულის შეუფერხებლად წარმართვას.



მნიშვნელოვანი იყო რესპოდენტების მხრიდან ქვემოთ მოცემული საკითხების შეფასება:

- აღმოჩნდა, რომ 46 პროფ. მასწავლებელი იცნობს მისიას, ღირებულებებს და ხედვას, ხოლო 4 ნაწილობრივ იცნობს.
- 47 პროფ. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ იცნობს შიდა მარეგულირებელ აქტებს, ცოლო 3 სრულად იცნობს.
- კოლეჯის ვებ-გვერდს სრულად იცნობს 35 პროფ. მასწავლებელი, 10 ნაწილობრივ იცნობს, ხოლო 5 საერთოად არ იცნობს.
- მასწავლებელმა უმეტესობა 42 იცნობს სოციალური მედიის გვერდებ.



ჩართული ვიყავი კოლეჯის სტრატეგიული ან/და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ან/და გამიზიარეს ეს დოკუმენტები

ა)დიახ - 54%
ბ)არა - 20%
გ)ნაწილობრივ - 26%



საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ვიღებ ადმინისტრაციისგან შესაბამის დახმარებას. (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კომენტარი)

ა)დიახ - 82%
ბ)არა - 0%
გ)ნაწილობრივ - 18%
დ) სხვა



დაწესებულება ზრუნავს ჩემს პროფესიულ განვითარებაზე

ა)დიახ - 78%
ბ)არა - 0%
გ)ნაწილობრივ - 22%
დ) სხვა



კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ყველა პროფესიულ მასწავლებლებს საჭიროების შესაბამისად უტარდებად ტრენინგები და კოლეჯი დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსების/პროექტების /კონფერენციების შესახებ.



კოლეჯში ხელმისაწვდომია კარგი ხარისხის ინტერნეტი

ა)დიახ - 58%

ბ)არა - 18%

გ)ნაწილობრივ - 24%



რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯის საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერების რაოდენობა, სიმძლავრე, ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი მომსახურება და ა.შ)

ა) სრულად კმაყოფილი ვარ - 40%

ბ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ - 50%

გ) არ ვარ კმაყოფილი - 10%



ნებისმიერ დროს შემიძლია გამოვიყენო კომპიუტერების ოთახი, პრინტერის/ქსეროქსის აპარატი

ა)დიახ - 36%

ბ)არა - 18%

გ)ნაწილობრივ - 46%



გვიტარდება ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების და უსაფრთხოების წესების შესახებ?

ა)დიახ - 57%

ბ)არა - 43%



კოლეჯში თავს უსაფრთხოდ და დაცულად ვგრძნობ

ა) დიახ - 100%

ბ) არა -0%

გ) ნაწილობრივ -0%



ყველა რესპოდენტი ფიქრობს, რომ კოლეჯში დაცულია ჰიგიენის ნორმები - ყოველთვის მოწესრიგებულია კოლეჯის სველი წერტილები და შენობა.



რაც შეეხება იმას თუ რა თემაზე ისურვებდნენ მასწავლებლები კოლეჯის მხრიდან მხარდაჭერას, შემდეგი საკითხები წამოიჭრა:

- მოდულის სტრუქტურა და შინაარსი
- შეფასების უწყისის შედგენა
- მეილისა და გუგლს დრაივის გამოყენება
- თანამედროვე სწავლების მეთოდები
- ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენება

კვლევის ძირითადი მიგნებები:

დადებითი მხარეები:

1. **პროგრამის გაგება და შეფასება**:
    - 66% მასწავლებელი სრულად იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას
    - 86% თვლის, რომ პროგრამის შინაარსი სრულად შეესაბამება სწავლის შედეგებს
    - 92% კარგად აფასებს მოდულის სტრუქტურას
    - 100% აღნიშნავს, რომ პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები სრულად დაბალანსებულია
2. **სასწავლო პროცესი**:
    - 94% სრულად კმაყოფილია სასწავლო პროცესის ორგანიზებით
    - 100% აძლევს სტუდენტებს სათანადო უკუკავშირს
    - 88% თვლის, რომ აუდიტორია იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას
3. **ადმინისტრაციული მხარდაჭერა**:

- 82% აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის იღებს ადმინისტრაციისგან დახმარებას
- 78% თვლის, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე
- 100% აღნიშნავს, რომ კოლეჯი იცავს ეთიკის ნორმებს

გასაუმჯობესებელი სფეროები:

1. **ტექნოლოგიური რესურსები**:
    - 58% აღნიშნავს, რომ ხელმისაწვდომია კარგი ხარისხის ინტერნეტი, ხოლო 42% - არ არის ხელმისაწვდომი კარგი ხარისხის ინტერნეტი.
    - 40% სრულად კმაყოფილია საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით, ხოლო 50% არ არის კმაყოფილი ან ნაწილობრივ კმაყოფილია
    - მხოლოდ 36% აქვს სრული წვდომა კომპიუტერების ოთახებზე.
2. **ტრენინგები:**
    - პროფესიულ მასწავლებელთა მხოლოდ 57%-მა გაიარა ტრენინგები - პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ

რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს ინტერნეტის ხარისხის
- განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა
- მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს კომპიუტერული ოთახი, სადაც მოწყობილი იქნება პრინტერის/ქსეროქსის აპარატი
- ჩატარდეს ტრენინგი მასწავლებისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ.
- დაიგეგმოს ტრენინგები მასწავლებლებისთვის შემდეგ საკითებზე:
    - პროგრამის სრული სტრუქტურა და შინაარსი
    - შეფასების უწყისის შედგენა
    - მეილისა და გუგლს დრაივის გამოყენება
    - თანამედროვე სწავლების მეთოდები
    - ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენება
    - ტრენინგებზე მასწავლებლებს გაეცნოს კოლეჯის ვებგვერდი.
- გაიზარდოს მასწავლებელთა ჩართულობა სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში

დასკვნა

კვლევამ გამოავლინა, რომ კოლეჯი მაღალ დონეზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს, თუმცა არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომლებიც საჭიროებენ სისტემურ მიდგომებსა და გაუმჯობესებას.

სამოქმედო გეგმა კვლევის შედეგების გათვალისწინებით

1.1 პროფესიულ მასწავლებელთა კვლევის შედეგების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმა

აქტივობა	ვადები
შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ვორქშოფები	სექტემბერი - იანვარი 2025
თანამედროვე სწავლების მეთოდები და მიდგომები	თებერვალი-მარტი 2025
ტრენინგი ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ	დეკემბერი - აპრილი 2025
კომპიუტერული ტექნიკის განახლება	აგვისტო - დეკემბერი
ბიბლიოთეკის ფონდის განახლება	მთელი წლის განმავლობაში
ტრენინგი პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შესახებ, შეფასების უწყისის შედგენის შესახებ	სექტემბერი - ოქტომბერი
ტრენინგი მეილისა და გუგლ დრაივის გამოყენების შესახებ	სექტემბერი - მარტი
ტრენინგი მასწავლებისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ.	სექტემბერი - მარტი
მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს კომპიუტერული ოთახი, სადაც მოწყობილი იქნება პრინტერის/ქსეროქსის აპარატი	ნოემბერი - დეკემბერი

1.2 პროფესიულ სტუდენტთა კვლევის შედეგების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმა

აქტივობა	ვადები
სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა კოლეჯის მისიიას, ღირებულებების, მიზნების , მარეგულირებელი აქტების და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.	ნოემბერი 2024
შეიქმნას პლატფორმა, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.	ნოემბერი - დეკემბერი 2024
გაიზარდოს ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო რესურსები, სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად დაემატოს ფილოსოფიური და სამედიცინო ლიტერატურა.	სექტემბერი - მარტი 2025
ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები უსაფრთხოების წესების და პირველადი დახმარების შესახებ.	ოქტომბერი - მარტი, 2025

საინფორმაციო ბროშურების მომზადება და გავრცელება	დეკემბერი - მაისი 2025
სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, რაც ითვალისწინებს თვალსაჩინო ადგილას სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის განთავსებას.	დეკემბერი 2024
დასაქმების ფორუმის ორგანიზება	მარტი - მაისი 2025